ყურძნისა და ღვინის ფლავონოიდების ზოგადი დახასიათება და მათი ბიოლოგიური აქტივობა

ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი ქიმიური შედგენილობა. ეს უკანასკნელი კი წარმოდგენილია ყურძნის შემადგენელი კომპონენტების და მათი გარდაქმნის პროდუქტების სახით. ყურძნის და ღვინის შემადგენელი ქიმიური კომპონენტები წარმოდგენილია სხვადასხვა კლასის ნაერთებით, რომელთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფენოლურ ნაერთებს. ქიმიური კომპონენტების გარდაქმნა დამახასიათებელია როგორც ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის, ასევე ღვინომასალის ფორმირების პროცესებისათვის. ფენოლური ნაერთები გარკვეულწილად გარდაიქმნებიან ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის პროცესში და შესაბამისი პროდუქტებით ამდიდრებენ ღვინომასალას.

ფენოლური ნაერთები და მათი გარდაქმნის პროდუქტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ღვინის ხარისხის ჩამოყალიბებაში, მისი დამზადება-შენახვის ყველა ეტაპზე და უშუალო გავლენას ახდენდნენ გემოზე, ბუკეტზე, ფერზე, გამჭვირვალობაზე, სტაბილურობაზე, დავარგების უნარზე. სწორედ ამით აიხსნება მკვლევართა შეუნელებელი ინტერესი ამ ნაერთების შესწავლისადმი.

დადგენილია, რომ ფენოლური ნივთიერებები წარმოადგენენ ყურძენში რიგით მე-3 ქიმიურ კომპონენტებს ნახშირწყლების და ორგანული მჟავების შემდეგ. ფენოლური ნაერთების შემადგენელი ფლავონოიდები მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება ყურძნის ყველა ნაწილში: კანში, წიპწაში, კლერტში, ასევე წვენში. საერთო ფენოლური ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება ექსტრაქციას და გამოიწვლილება ყურძნის მარცვლიდან, განაწილებულია შემდეგნაირად: 10%-ყურძნის რბილობიდან, 60-70%-წიპწიდან და 28-35%-ყურძნის კანიდან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფენოლურ ნაერთთა დიდი რაოდენობა „კაბერნე სოვინიონის“ ჯიშის ყურძნის შემთხვევაში, ლოკალიზებულია ყურძნის კანში (Prieur C. et al.,1994).

ფენოლური ნაერთები თითქმის უკვე საუკუნეა იპყრობს მკვლევართა ყურადღებას და სწორედ ამაზე მეტყველებს მრავალი სამეცნიერო შრომა, რომლებიც ფენოლური ნაერთების სტრუქტურის, მათი კვლევის მეთოდების შემუშავების და სრულყოფის საკითხებს შეისწავლის. ფენოლური ნაერთების სპექტრი მდიდარი და მრავალფეროვანია. ყურძნისეული ფენოლური ნაერთების ფართო კლასის შედგენილობა წარმოდგენილია სქემის სახით (იხ. სქემა 1.)



სქემა 1. ყურძნისეული ფენოლური ნაერთების კლასიფიკაცია

ფენოლური ნივთიერებების თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობა განსხვავებულია წითელყურძნიან და თეთრყურძნიან ჯიშებში. ამერიკელი მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ თეთრყურძნიან ჯიშებში ფენოლური ნივთიერებები უპირატესად წარმოდგენილია კუმარმჟავას ეთერებით, კატექინებით და პროანტოციანიდინებით, მათ შორის კატექინგალატით. წითელყურძნიან ჯიშებში ფენოლურ ნაერთებს შორის ვარირებს ჰიდროქსიბენზოის და ჰიდროქსიდარიჩინის მჟავები, პრანტოციანიდინები, ანტოციანები და ფლავონოლების გლიკოზიდები.

კატექინების რაოდენობრივი შემცველობა კლერტში მერყეობს 0,7-3,5%, კანში 0,3-4,3%, წიპწაში 2-3% (Ribereau-Gayon P.1964; 1994).

ავტორთა მიერ დადგენილია ქართული ტრადიციული ტექნოლოგიებით დამზადებული წითელ და თეთრ ღვინოებში, ასევე ევროპული ტიპის ღვინოებში ფენოლურ ნაერთთა საერთო რაოდენობა კატექინების, პროანტოციანიდინების, ანტოციანების რაოდენობრივი შემცველობა და მათი ანტირადიკალური ეფექტი. კერძოდ, კახური ტიპის თეთრ ღვინოებში საერთო ფენოლების რაოდენობამ შეადგინა 1330-2430მგ/ლ, ხოლო კახური ტიპის წითელ ღვინოებში 2898-4416მგ/ლ, ევროპული ტიპის თეთრ ღვინოში კი 210-468მგ/ლ, ხოლო წითელში 1630-2340მგ/ლ-ზე (Shalashvili A. Et all.,2011).

ავტორების მიერ განისაზღვრა დიჰიდროკვერცეტინი სხვადასხვა ქვეყნის ღვინოებში: მოლდავური ღვინოები შეიცავს-0,5-2,4 მგ/ლ; ქართული-1,9-2,4 მგ/ლ; ფრანგული-1,4-2,9 მგ/ლ; იტალიური-1,7-2,6 მგ/ლ; ესპანური-1,4-2,2 მგ/ლ; ჩილეს-1,1-2,4 მგ/ლ (Положникова М.А. и др.2005).

ყურძნის ჯიშების „გარნაჩას“, „მერლოს“ და „სირას“ (არაგონის რეგიონი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთი) ალკოჰოლური დუღილის პროცესში შესწავლილი იქნა ფენოლური ნაერთების ძირითადი ცვლილებები. ალკოჰოლური დუღილისას „სირაში“ დაფიქსირდა ანტოციანების, ფლავან-3-ოლების მაღალი კონცენტრაცია და ფლავონოლების 802,7±0,5მგ/ლ; 74,7±2,4მგ/ლ და 37,1±1,5მგ/ლ (შესაბამისად ალკოჰოლური დუღილის დასასრულს). საერთო ჯამში შედეგმა აჩვენა, რომ ალკოჰოლური დუღილის პროცესში ფენოლური ნაერთების თვისებრივი შედგენილობა და კონცენტრაცია დამოკიდებულია ჯიშურ ფაქტორზე (Puértolas E., et al.,2011).

ფენოლურ ნაერთებს ვაზის ყველა ნაწილი შეიცავს მონომერების, პოლიმერების და ოლიგომერების სახით. ყურძნისა და ღვინის ძირითად ფენოლურ ნაერთებად მიაჩნიათ და ღრმად არის შესწავლილი ფენოლკარბონმჟავები, ფლავონოიდები

(კატექინები, ანტოციანები, ლეიკოანტოციანები, ფლავონოლები) და ფლავონოიდების პოლიმერიზაციის პროდუქტები (დურმიშიძე ს., ხაჩიძე ო.,1985).

ფლავონოიდები-(C_6-C_3-C_6) (ლათ:Flavus–ყვითელი) მცენარეული წარმოშობის მეტაბოლური ნაერთებია, რომლებიც წარმოადგენენ ბენზოპირონის (ქრომონი) წარმოებულებს. ფენოლურ ნაერთთა შორის ფლავონოიდები ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. ამჟამად ცნობილია, რომ მათი რიცხვი აღემატება 8000-ს. ფლავონოიდი წარმოადგენს O-ჰეტეროციკლურ ნაერთს, რომლის სტრუქტურულ საფუძველს შეადგენს ფლავონის ან ფლავანის სამციკლიანი მოლეკულა. ფლავონოიდების საწყისი სტრუქტურა შედგება სამნახშირბადიანი ფრაგმენტით დაკავშირებული ბენზოლის ორი ბირთვისაგან, რომელიც ჟანგბადის ატომთან ერთად წარმოქმნის პირონის ბირთვს. ბენზოლის ბირთვები აღინიშნება ლათინური ანბანის A და B ასოებით, ხოლო მათი დამაკავშირებელი ბირთვი C ასოთი (Beecher G. R.,2003; Гудвин Т. И др.,1986; Barz W. Et all.,1975).



ფლავონოიდების მოლეკულის საბაზისო სტრუქტურა

ფლავონოიდები სამნახშირბადიანი ფრაგმენტის დაჟანგვის ხარისხის მიხედვით დაყოფილია 10 ძირითად ქვეჯგუფად, ესენია: კატექინები (ფლავან-3-ოლები) ლეიკოანთოციანიდინები (ფლავან-3,4-დიოლები), ფლავანონები, დიჰიდროჰალკონები, ჰალკონები, ანთოციანიდინები, ფლავონოლები და აურონები.

ფლავონოიდების მრავალფეროვნება განპირობებულია მათი მოლეკულების ჰიდრო-ქსილირებით, მეთილირებით, გლიკოზილირებით და ფლავანონების, ფლავანონოლების, კატექინების და ლეიკოანთოციანიდინების ჰეტეროციკლურ სტრუქტურაში ასიმეტრიული ნახშირბადის ატომების არსებობით.

ფლავონოიდურ ნაერთებს შორის კატექინები ყველაზე უფრო აღდგენილი ნაერთებია, ხოლო ფლავონოლები კი ყველაზე დაჟანგული. ფლავონონები, კატექინები და ლეიკოანთოციანიდინები უფეროა, ფლავონები და ფლავონოლები შეფერილია ყვითლად, ხოლო ანტოციანებს აქვთ წითელი, ლურჯი და იისფერი შეფე-რილობა (ნავარი კ., ლანგლადი ფ.,2004).

მიზანშეწონილად მივჩნიეთ წარმოგვედგინა ყურძნისეული ფენოლური ნაერთების ცალკეული ჯგუფების მოკლე ქიმიური დახასიათება.

კატექინები. კატექინების ქვეკლასს ეკუთვნის 2-ფენოლ-3-ჰიდროქსიქრომის წარმოებულები. ამ ნაერთებს გააჩნიათ მჭიდრო კავშირი C2-C3 პოზიციაში და C3 ჰოდროქსილის ჯგუფით. მათ სტრუქტურაში არსებობს ორი ქსილური ცენტრი 2 და 3 ნახშირბადი ატომით. ცნობილ წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან (+)-კატექინი და (-)-ეპიკატექინი. ყურძნისა და ღვინის ფენოლური ნაეთებიდან მნიშვნელოვანი ჯგუფი კატექინებია. ინდივიდუალური სახით, ძირითადად გვხვდება შემდეგი კატექინები, (ცხრილი 1; Brown J., et al.,2006).

ცხრილი 1. ყურძნისეული წარმოშობის კატექინები

ფლავანოლები	R3	R1	R2
(+)-კატექინი	H	OH	H
(-)-ეპიკატექინი	H	H	OH
(+)-გალოკატექინი	OH	OH	H
(-)-ეპიგალოკატექინი	OH	H	OH



(+)-კატექინი $C_{15}H_{14}O_6$



(-)-ეპიკატექინი $C_{15}H_{14}O_6$



(+)-გალოკატექინი $C_{15}H_{14}O_7$



(-)-ეპიგალოკატექინი $C_{15}H_{14}O_7$

ვაზის ფლავონოიდების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კატექინები. დღეისათვის ფენოლური ნაერთებიდან კარგად არის შესწავლილი კატექინები და მათი პოლიმერიზაციის პროდუქტები. კატექინები უფერო კრისტალური ნაერთებია. კატექინების განსაზღვრის მეთოდები დაფუძნებულია მის მოლეკულაში ფენოლური ოქსი-ჯგუფის არსებობაზე, რომელიც იძლევა ფენოლური ნაერთებისათვის დამახასიათებელ თვისებრივ რეაქციებს. გამოვლენილია, რომ კატექინები ვანილინთან ურთიერთქმედებისას ძლიერ მჟავე არეში იძლევიან ვარდისფერს, რკინის ქლორიდთან–ლურჯს. ყურძენში და მისი გადამუშავების პროდუქტებში კატექინები ნაპოვნია როგორც თავისუფალი,ისე შეკავშირებული სახით (Кишковский З.Н.,1976).

გამოკვლეული იქნა „Vitis vinifera-ს” ვაზის სხვადასხვა ჯიშებში კატექინების შემცველობა. დადგინდა, რომ ვაზის სხვადასხვა ნაწილებში კატექინების თვისებრივი შემადგენლობა განსხვავებულია, კერძოდ: ვაზის ყველა ნაწილი შეიცავს (+)-კატექინს, (±)-კატექინს შეიცავს წიპწა, კანი, კლერტი, ღერო, ხოლო არ შედის ფესვის შედგენილობაში. (±)-გალოკატექინი-შედის წიპწის, კლერტის და კანის შედგენილობაში, (+)-ეპიკატექინგალატი წიპწის, კანისა და ფოთლის კომპონენტს წარმოადგენს. ზემოაღნიშნულ შედეგებთან შესაბამისობაშია მეცნიერთა სხვა გამოკვლევები. ყურძნის ტკბილი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს კატექინებს, მაგრამ დურდოს ფერმენტული სისტემით დამუშავების შედეგად კატექინების რაოდენობა მკვეთრად იზრდება (Дурмишидзе С.В.,1954,1955,1958; Марх А.Т.,1969).

ყურძენში კატექინები წარმოდგენილი არიან შემდეგი რაოდენობით: (+)-კატექინი-50-100მგ/კგ; (-)-გალოკატექინი-250-200მგ/კგ; (+)-ეპიკატექინგალატი-40-500მგ/კგ. გამოკვლეულია კატექინების რაოდენობრივი და თვისებრივი შედგენილობა რქაწითელის ჯიშის ყურძენში. კერძოდ, ყურძნის კლერტიდან, კანიდან და წიპწიდან სრული სიმწიფის პერიოდში განისაზღვრა შემდეგი კატექინები: (+)-გალოკატექინი, (-

)-ეპიკატექინი, (+)-კატექინი, (-)-ეპიკატექინგალატი (დურმიშიძე ს. ხაჩიძე ო., 1979;1985; Гелашвили Н.Н., и др.1970).

კატექინებს სუფთა სახით აქვთ მკვეთრად გამოკვეთილი მწკლარტე გემო. დამჟანგველი ფერმენტების გავლენით და თბური დამუშავების შედეგად კატექინების გემო ხდება რბილი და არამკვეთრი სასიამოვნო სიმწკლარტის, რაც დამახასიათებელია მაღალხარისხოვანი ღვინოებისათვის (Дурмишидзе С.В., 1955).

დადგენილია, რომ ღვინის მადერიზაციის პროცესში კატექინების რაოდენობა მცირდება; ამასთან თბური დამუშავების პირველ ეტაპზე მცირდება (±)-გალოკატექინი. 15 დღე-ღამის განმავლობაში მადერიზაციის ჩატარებისას მცირდება (+)-კატექინი, ხოლო 20 დღე-ღამის შემდეგ ღვინოში რჩება მხოლოდ (-)-გალოკატექინი და (+)-კატექინი (Нуцубидзе Н.Н., 1956).

ავტორთა მონაცემებით კაბერნე სოვინიონისაგან და საფერავიდან დურდოზე დუღილით დამზადებული სუფრის მშრალ, წითელ ღვინოში ნანახი იქნა იგივე კატექინები, რაც ყურძენში, გარდა (-)-ეპიკატექინგალატისა აღნიშნულ ღვინოებში კატექინების რაოდენობა შეადგენდა 247-250 მგ/ლ. კახური წესით დამზადებულში კი – 600 მგ/ლ-ს (Валуйко Г. Г., 1973).

თავისუფალი კატექინების რაოდენობა ღვინოში მცირდება დაძველების პროცესში და ძველ ღვინოებში მათი რაოდენობა საერთოდ არ არის. იგივე მტკიცდება სხვა ავტორთა მონაცემებით. ფრანგულ ღვინოებში თავისუფალი კატექინების რაოდენობა 50-100 მგ/ლ-მდეა, ხოლო 3-4 წლით დაძველებულ ღვინოებში საერთოდ არ არის თავისუფალი კატექინები (ДурмишидзеС. В.,1955; Риберо-Гайон Ж. и др.1980).

ამჟამად არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ყურძნის ძირითადი კატეხინებია: (+)-კატექინი, (-)–ეპიკატექინი, (+)-გალოკატექინი, (-)-გალო-კატექინი, (-)-ეპიკატექინგალატი. შესწავლილია საქართველოს ავტოქტონური ვაზის ჯიშების თეთრი რქაწითელისა და წითელი საფერავის ყურძნიდან კახური წესით ქვევრში დაყენებული ღვინოების ფენოლური ნაერთების თვისებრივი შედგენილობა და რაოდენობრივი შემცველობა. რქაწითელის ყურძნიდან დაყენებულ ღვინოში

იდენტიფიცირებულია: (+)-კატექინი (32,6მგ/ლ), (-)-ეპიკატექინი (58,6მგ/ლ), (-)-გალოკატექინი (43,7მგ/ლ), საფერავის ყურძნიდან დამზადებულ ღვინოში (+)-კატექინი (115,4მგ/ლ), (-)-ეპიკატექინი (29,5მგ/ლ), (-)-გალოკატექინი (174,4მგ/ლ) (Singleton V.L.et all.,1969; შალაშვილი* ა. და სხვ. 2012).

ცნობილია, რომ პოლიფენოლებით ყურძნის მაგარ ნაწილებს შორის ყველაზე მდიდარია ყურძნის წიპწა. ამერიკელი მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ყურძნის წიპწაში ლოკალიზებულია (+)-კატექინი, (-)-ეპიკატექინი და (-)-ეპიკატექინგალატი (Edelmann A. Et al.,2001; McDonald M.S. et al.,1998).

დადგენილია ყურძნის წიპწის და კლერტის ტანინში შემავალი კატექინების განსხვავება. კერძოდ, წიპწის ტანინში ჭარბობს (+)-კატექინი, (-)-ეპიკატექინი, ხოლო კლერტის ტანინში (-)-ეპიგალოკატექინი, (+)-კატექინი (Валуйко Г.Г.,1973).

ფლავონოლები. ფლავონოლები ფლავონოიდებს შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და ფართოდ გავრცელებული ჯგუფია მცენარეულ სამყაროში. ისინი ყვითელი ფერის ნაერთებს წარმოადგენენ. ფლავონოლების ჯგუფი გაერთიანებულია 2-ფენილ-3-დიჰიდროქსიქრომონების წარმოებულებში. ფლავონებისგან მათ განასხვავებენ C3 ჰიდროქსილური ჯგუფებით. ამ ქვეკლასის წარმომადგენლები არიან კვერცეტინი, მორინი და მირიცეტინი. ფლავონოიდების სტრუქტურის განხილვისას ძირითადი ყურადღება ექცევა სწორედ ამ ქვეკლასს, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ყველაზე შესწავლილ ფლავონოიდებს ელექტრონ-დონორული თვისებებით გამოხატულს (Brown J. E.et al.,2006).

ყურძნისა და ღვინის ფლავონოლები ძირითადად წარმოდგენილია კვერცეტინის, მირიცეტინის და კემპფეროლის სახით.



კვერცეტინი $C_{15}H_{10}O_7$



მირიცეტინი $C_{15}H_{10}O_8$



კემპფეროლი $C_{15}H_{10}O_6$

თეთრ ყურძენში თავდაპირველად აღმოაჩინეს კვერცეტინ-3-გლუკოზიდი, ხოლო შემდეგ აღმოჩენილი იქნა კემპფეროლი, მირიცეტინი და მათი გლიკოზიდები. ყურძნის ძირითად ფლავონოლს წარმოადგენს კვერცეტინ-3-გლუკოზიდი (იზოკვერციტრინი), რომლის რაოდენობა შეადგენს ფლავონოლების საერთო რაოდენობის 56-58%-ს. ყურძნის სხვადასხვა ჯიშებში ფლავონოლები წარმოდგენილი არიან გლიკოზიდების სახით და ძირითადი აგლიკონებით-კვერცეტინი, კემპფეროლი, მირიცეტინი, იზორამნეტინი. საქართველოში გავრცელებული ვაზის სხვადასხვა ნაწილებიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებული იქნა ფლავონოლების როგორც აგლიკონები, ისე გლიკოზიდები: კემპფეროლი, კემპფეროლ-3-გლუკოზიდი (ასტრაგალინი), კვერცეტინი, კვერცეტინ-3-რამნოზიდი (კვერციტრინი), კვერცეტინ-3-გლუკოზიდი (იზოკვერცეტინი), კვერცეტინ-3-რუთინოზიდი (რუთინი), კვერცეტინ-3-გლუკურონიდი, მირიცეტინი, მირიცეტინ-3-გლუკოზიდი (დურმიშიძე ს. ხაჩიძე ო., 1979,1985; Edelmann A. Et al.,2001; Валуйко Г.Г.,1973).

წითელი ესპანური ღვინოები დამზადებული ტემპრანილოს, გრაციანოს, კაბერნე სოვინიონის და მერლოს ჯიშის ყურძნიდან ფლავონოლებს შეადგენენ: მირიცეტინ-3-0-გლუკურონიდს 1,57-4,69 მგ/ლ, კვერცეტინ-3-0-გლუკურონიდს 1,3-8,5 მგ/ლ, მირიცეტინს 1,33-3,15 მგ/ლ, კვერცეტინს 1,88-6,90 მგ/ლ, კემპფეროლ-3-0-გლუკოზიდს (ის არ არის მერლოში)-1,23-2,03მგ/ლ; კვერცეტინ-3-0-გალაქტოზიდი აღმოჩნდა მხოლოდ კაბერნე სოვინიონის ჯიშში-1,05 მგ/ლ. ღვინოებში იდენტიფიცირებულია მირიცეტინ-3-გლუკოზიდი, კვერცეტინ-3-გლუკოზიდი, რუთინი, მირიცეტინი, კვერცეტინი, ჰესპერიდინი და კემპფეროლი (Sun Y. et al.,2007; Yustesen U. Et al.,1998).

საფერავის ჯიშის ყურძნიდან დამზადებული ქართული სუფრის წითელ ღვინომასალებში კვერცეტინის შემადგენლობა იცვლება ადგილმდებარეობის მიხედვით და მერყეობს ინტერვალით 0,9-2,78 მგ/ლ. კახეთის სხვადასხვა რაიონებში კახური ტიპის რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან მიღებულ ღვინომასალებში ფლავონოლების ჯამი შეადგენს 22,0- 42,0 მგ/ლ. სხვადასხვა ქვეყნებში დამზადებული წითელი ღვინოები შეადგენენ 0,16-1,77 მგ/ლ კვერცეტინს და მირიცეტინს 0,18-2,20 მგ/ლ, ხოლო წითელ ღვინოებში ფლავონოლების (კვერცეტინი+მირიცეტინი+-კემპფეროლი+იზორამნეტინი) ჯამი შეადგენს: კაბერნე სოვინიონი (ჩილე)-58,4±4,0მგ/ლ; პინო (კალიფორნია)-30,2±0,6მგ/ლ; მერლოტი (ჩილე)-25,2±1,2მგ/ლ; ბიოჟოლაისი (საფრანგეთი)-9,9±0,9 მგ/ლ; თეთრი ღვინო რისლინგი (ავსტრალია) შეადგენს 1,7±0,2 მგ/ლ ზემოთაღნიშნულ ფლავონოლებს, ხოლო სხვა თეთრ ღვინოებში ისინი არ შეიმჩნევა (Бежуашвили М.и др.,2005; GrozierA. GrozierA.,,et al.,2000; Daniel O.et al.,1999).

დადგენილია, რომ წითელი ყურძნის ჯიშები თეთრ ჯიშებთან შედარებით ფლავონოლებს მეტი რაოდენობით შეიცავენ და ამასთანავე, ყურძნის სხვადასხვა ნაწილებში ფლავონოლების შემცველობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აღმოჩენილია, რომ ყურძნის ყველა მაგარი ნაწილი შეიცავს კვერცეტინს, კვერციტრინს და იზოკვერციტრინს. საფერავის და მატრასას ყურძნის კანში აღმოჩნდა ორი აგლიკონი-კვერცეტინი და მირიცეტინი, გლუკოზიდები-კვერციტრინი, იზოკვერცი-

ტრინი და მირიცეტინ-3-გლუკოზიდი. წითელი ყურძნის კანში განსაზღვრული იქნა გლუკოზიდური ფლავონოლები: კემპფეროლ-3-გლუკოზიდი, მირიცეტინ-3-გლუკოზიდი-15%, კვერცეტინ-3-გლუკოზიდი-50%, კვერცეტინ-3-გლუკოზიდი-30%. დადგინდა წითელ და თეთრ ღვინოებში ფლავონოლების აგლიკონების და გლუკოზიდების რაოდენობრივი შემცველობა (Ribereau-Gayon P.,1964; Бокучава М. и др.,1971; Стуруа З. и др.,1971; Родопуло А.,1971).

საფერავის ყურძნიდან დამზადებულ კახური წესით ქვევრში დაყენებული ღვინოებში იდენტიფიცირებული იქნა ფლავონოლები: კემპეროლი (13,2მგ/ლ), კვერცეტინი (11,2მგ/ლ), რუთინი (2,6მგ/ლ) (შალაშვილი ა. და სხვ.,2012).

ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილი არის მთავარი ეტაპი კახური და იმერული ტიპის ღვინოების დამზადებისას, რაც განპირობებულია ღვინომასალების ფენოლური ნაერთების გამდიდრებით-ბუნებრივი ფორმით და მათი გარდაქმნის პროდუქტებით. ფენოლური ნაერთები ალკოჰოლური დუღილის პროცესში გროვდება როგორც ბუნებრივი, ისე გარდაქმნილი სახით. შესწავლილი იქნა ღვინის საფუარების ზემოქმედება ფლავონოლებზე და გამოვლენილი იქნა ფლავონოლების გარდაქმნის გზა (Шония Т. Бежуашвили М. и др., 2006, 2008,2009).

კვლევა ჩაუტარდა თეთრ ღვინოებს, კერძოდ გამოყენებული იქნა თეთრი ყურძნის ორი ჯიში: „არინტო“ და „მუსკატელი“. „არინტოს“ ჯიშის თანაურმა პროდუქტებმა აჩვენა კვერცეტინ-3-გლიკოზიდის და კემპფეროლ-3-გლუკოზიდის მაღალი კონცენტრაცია, ვიდრე „მუსკატელის“ ჯიშის თანაურმა პროდუქტებმა (Alexandros D.et al.,2005).

ფლავონოლების ცალკეული წარმომადგენლები განსაზღვრულია რამდენიმე წითელყურძნიანი ჯიშიდან სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებულ წითელ ღვინოებში (იხ. ცხრილი 2) .

ცხრილი 2. ფლავონოლების შემცველობა (მგ/100მლ) წითელ ღვინოებში

ყურძნის ჯიში	ქვეყანა	წელი	კვერცეტინი	მირიცეტინი	კემპფეროლი
კაბერნე სოვინიონი	ავსტრალია	1994	1,73	1,76	0,21
,,-------,,	,,-------,,	1995	1,59	1,00	-
,,-------,,	ბულგარეთი	1995	0,16	0,29	-
,,-------,,	ჩილე	1994	1,77	1,80	-
,,-------,,	საფრანგეთი	1992	0,69	1,49	-
,,-------,,	,,-------,,	1994	1,24	2,20	-
,,-------,,	ესპანეთი	1993	0,76	1,52	-
,,-------,,	აშშ	1994	0,93	1,23	-
აგიორგიტიკო	საბერძნეთი	1994	0,84	0,47	-
მერლოტი	ჩილე	1994	1,28	1,82	0,13
,,-------,,	საფრანგეთი	1994	1,41	1,52	0,08
პინო შავი	,,-------,,	1991	0,25	0,18	-
ნებიოლი	იტალია	1990	0,90	0,47	-
,,-------,,	,,-------,,	1992	0,60	0,25	-
სანჯოვეზი	,,-------,,	1994	0,60	0,52	0,08
,,-------,,	,,-------,,	1995	0,71	0,52	-
ტემპრანილო	ესპანეთი	1993	0,17	0,46	-
მიქსტურა	საფრანგეთი	1992	0,91	1,72	-

ფლავონები. ფლავონები მცენარეებში გვხვდება როგორც აგლიკონების, ისე გლიკოზიდების სახით. დღეისათვის ცნობილია ფლავონების 40-ზე მეტი აგლიკონი, მათ შორის ძირითადია: აპიგენინი, ლუთეოლინი, ტრიცინი. ყურძენში აღმოჩენილი იქნა ფლავონებიდან გლიკოზიდების სახით აპიგენინი და ლუთეოლინი.



ლუთეოლინი $C_{15}H_{10}O_6$



აპიგენინი $C_{15}O_{10}O_5$

ფლავონები წარმოქმნიან O და C სახის გლიკოზიდებს, ეს უკანასკნელი მათთვის სხვა ფლავონოიდებისაგან განსხვავებით უფრო მეტადაა დამახასიათებელი. ფლავონების 0-გლიკოზიდებს შორის უმთავრესია 7-0-გლიკოზიდები და 7-0-რუთინოზიდები; ცნობილია აგრეთვე 5-დიგკლუკოზიდები (დურმიშიძე ს. ხაჩიძე ო.,1979).

საფერავის, რქაწითელის, მარსალას და სხვა ვაზის ჯიშების სხვადასხვა ნაწილში (ფოთლები, ყლორტები, ერთწლიანი ღერო, მტვრიანები, ყვავილედი, ყურძნის კანი, კლერტი) ფლავონების თვისობრივი განაწილების შესწავლისას მოხდა იდენტიფიცირება ლუთეოლინ-გლუკოზიდის. ყურძენში აღმოჩენილი იქნა აპიგენინის წარმოებულიც (დურმიშიძე ს. ხაჩიძე ო., 1985).

პროანტოციანიდინები. პროანტოციანიდინები (ლეიკოანტოციანები) ანუ ფლავან-3-4-დიოლები მნიშვნელოვანი ფენოლური კომპონენტებია. აღნიშნული ნაერთები დიდ გავლენას ახდენენ ღვინის ხარისხზე როგორც ორგანოლეპტიკური თვალსაზრისით, ასევე სამკურნალო-პროფილაქტიკური ღირებულებითაც. პროანტოციანიდინები წარმოადგენენ კონდენსირებული ტანინის წყაროს. პროანტოციანიდინები მჟავე არეში გაცხელებით ჟანგბადის თანაობისას წარმოქნიან ანტოციანიდინებს. დაბალმოლეკულურ პროციანიდინებს ნაკლებად გამოხატული მთრიმლავი თვისებები გააჩნიათ და არ ლექავენ ცილებს. პროანტოციანიდინების პოლიმერიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად მატულობს მათი მთრიმლავი

თვისებები. წითელ ღვინოში გვხვდება დიმერული, ტრიმერული, ტეტრამერული და პოლიმერული ფორმის პროანტოციანიდინები, რომელთა შორის ჭარბობს პოლიმერული ფორმა. კახეთის რაიონში გავრცელებული საფერავისაგან დამზადებულ სუფრის ღვინომასალაში ლეიკოანტოციანების რაოდენობა შეადგენს: 1,72-2,65გ/ლ. მინიმალური-1,72გ/ლ დაფიქსირდა ახმეტის რაიონის ღვინომასალაში, ხოლო მინიმალური-2,65გ/ლ ხაშმის მიკრორაიონის ღვინომასალაში (ქვლივიძე დ., ბეჟუაშვილი მ., 2005).

წითელი ღვინიდან გამოყოფილი იქნა 5 სხვადასხვა დიმერი-B_1, B_2, B_3, B_4, B_5 და ორი ტრიმერი. ეს დიმერები და ტრიმერები წარმოადგენს კონდენსირებულ კატექინს და ეპიკატექინს (Weinges K. Et al.,1971; Powell H. Et al.,1987; Santos-Buelga C.et al.,2000).



პროანტოციანიდინის საბაზო სტრუქტურა: R1, R2=H (პროპელარგონიდინი); R1=H, R2=OH (პროციანიდინი); R1,R2=OH (პროდელფინიდინი)



1



2



3



4

ზოგიერთი A,B,C ტიპის პროანტოციანიდინის-დიმერის და ტრიმერის სტრუქტურა

1 – B1: R1=OH; R2=H; R3=H; R4=OH; **B2**: R1=OH; R2=H; R3=OH; R4=H; **B3**: R1=H; R2=OH; R3=H; R4=OH; **B4**: R1=H; R2=OH; R3=OH;R4=H;

2 – B5: R1=OH; R2=H; R3=H; R4=OH; **B6**: R1=H; R2=OH; R3=OH; R4=H; **B7**: R1=H; R2=OH; R3=H; R4=OH; **B8**: R1=H; R2=OH; R3=H; R4=OH;

3– **C1**: R1=OH; R2=H; **C2**: R1=H; R2=OH;

4 – **A2**

საქართველოში გავრცელებული წითელყურძნიანი ტექნიკური ჯიშებიდან დამზადებული ღვინოები შეიცავს როგორც ოლიგომერულს, ისე პოლიმერულ პროანტოციანიდინებს. მათი რაოდენობა შემდეგია-საფერავის მშრალი ღვინო: ოლიგომერული-988 მგ/ლ, პოლიმერული-3200 მგ/ლ; კაბერნეს მშრალი ღვინო: ოლიგომერული-892 მგ/ლ, პოლიმერული-2050 მგ/ლ; ოცხანური საფერეს მშრალი ღვინო: ოლიგომერული-992 მგ/ლ, პოლიმერული-3000 მგ/ლ; ოჯალეშის ბუნებრივად ნ/ტკბილი ღვინო: ოლიგომერული-044 მგ/ლ, პოლიმერული-1455 მგ/ლ; ალადასტურის მშრალი ღვინო: ოლიგომერული-364მგ/ლ, პოლიმერული-1950მგ/ლ; ალექსანდროული ბუნებრივად ნ/ტკბილი ღვინო: ოლიგომერული-807 მგ/ლ, პოლიმერული-1235 მგ/ლ; მუჯურეთული ბუნებრივად ნ/ტკბილი ღვინო: ოლიგომერული-972 მგ/ლ, პოლიმერული-1365 მგ/ლ; ჩხავერის ვარდისფერი ღვინო: ოლიგომერული-936 მგ/ლ, პოლიმერული-1200 მგ/ლ (Вепхишвили Н., Вежуашвили М. и др. 2010).

დადგენილია, რომ ტექნიკური ვაზის ჯიშებიდან დამზადებულ წითელ ღვინოებში ოლიგომერული პროანტოციანიდინები მნიშვნელოვნად ნაკლებია პოლიმერულ პროანტოციანიდინებზე, ხოლო პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმებიდან დამზადებულ ღვინოებში კი პირიქით. იგივე ავტორთა მიერ ეს განსხვავება წარმოდგენილი იქნა ჯიშური სიწმინდის მაჩვენებლად ქართულ წითელ ღვინოებში და თანაფარდობა K=ოპც/პპც-წარმოადგენს ტექნიკური ჯიშებისაგან დამზადებული წითელი ღვონოების ჯიშური სიწმინდის მაჩვენებელს (Бежуашвили М., Деисадзе И. и др., 2008).

ოლიგომერული პროანტოციანიდინები წყალში კარგად ხსნადი ნივთიერებებია. მჟავე და ტუტე არეში განიცდიან ჰიდროლიზს. ალკოჰოლური დუღილის პროცესში ინტენსიურად გამოიწვლილებიან დურდოდან და ლოკალიზირდებიან ღვინომასალაში. მეცნიერთა მიერ გამოკვლეული იქნა წითელ ღვინოში ყურძნის მაგარი ნაწილებიდან (წიპწა, კანი, კლერტი) ფერმენტაციის შედეგად გადასული პოლიმერული და ოლიგომერული პროანტოციანიდინების და კატექინების

რაოდენობა. ავსტრალიაში გავრცელებული კაბერნე-სოვინიონის ჯიშის ყურძნის წიპწაში და კანში და შირაზის ღვინოში გამოკვლეული იქნა პროანტოციანიდინების კონცენტრაცია და პოლიმერების შემცველობის ინტერვალი (SunB. Et al., 1999; Hanlin R. Et al.,2011).

კახეთის რაიონებში გავრცელებული საფერავისგან დამზადებულ სუფრის მშრალ ღვინომასალებში ლეიკოანტოციანების რაოდენობა შეადგენს: 1,72-2,65გრ/ლ, მინიმალური-1,72გ/ლ დაფიქსირდა ახმეტის რაიონის ღვინომასალაში, ხოლო მაქსიმალური-2,65გ/ლ ხაშმის მიკრორაიონის ღვინომასალაში (ქვლივიძე დ., ბეჟუაშვილი მ., 2005).

ესპანურ, ფრანგულ და ზოგიერთ ამერიკულ წითელ ღვინოში განისაზღვრა ოლიგომერული პროანტოციანიდინები; ესპანურში (ტემპრანილო-1995 წლის მოსავლიდან) დიმერული პროანტოციანიდინები-83,77მგ/ლ, ტრიმერული-26,98მგ/ლ, ტეტრამერული-21,17მგ/ლ; ფრანგულში (კაბერნე სოვინიონი 1997 წლის მოსავლიდან) დიმერული-214,60მგ/ლ, ტრიმერული-30,17მგ/ლ, ტეტრამერული-42,42მგ/ლ; ამერიკულში (შატოურცინი-შატონე 1997 წლის მოსავლიდან) დიმერული-27,90მგ/ლ, ტრიმერული-11,14მგ/ლ, ტეტრამერული-5,38მგ/ლ (Sanchez-Moreno C.et al.,2003).

ესპანურ წითელ ღვინოში პროანტოციანიდინების განსაზღვრისას დაფიქსირდა მხოლოდ დიმერული B_1და B_2ფორმები შემდეგი რაოდენობით: ტემპრანილოშიB_1-7,10±0,08მგ/ლ, B_2-7,40±0,13მგ/ლ; გრაციანოში B_1-15,96±0,02მგ/ლ, B_2-17,5±0,95მგ/ლ; კაბერნეში B_1-11,21±0,56მგ/ლ, B_2-15,31±0,28მგ/ლ; მერლოში B_1-4,96±0,07მგ/ლ, B_2-6,97±0,13მგ/ლ (Monagas M. Et al.,2005).

ამერიკელი მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ყურძნის წიპწაში, ასევე დიდი რაოდენობით არის დიმერული ფლავან-3-ოლები, რომლებიც იწოდება პროანტოციანიდინებად. ეს უკანასკნელნი მჟავური ჰიდროლიზის შედეგად იხლიჩებიან ციანიდინის წარმოქმნით. წითელი ღვინიდან გამოყოფილი იქნა 5 დიმერი-პროანტოციანიდინი: (B1, B2, B3, B4, B5) და ორი ტრიმერი. ეს დიმერები და

ტრიმერები წარმოადგენენ კატექინის და ეპიკატექინის კონდენსირებულ ნაწარმებს (Валуйко Г.,1973; Su T., et al.,1969; Weinges K. Et al.,1971).

ფენოლური ნაერთების ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა კვლევის აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს. ყურძნისა და ღვინის მდიდარი ფენოლური შედგენილობიდან გამომდინარე ამ მიმართულების კვლევებმა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა შესძინა მეღვინეობის მეცნიერულ საფუძვლებს.

ფლავონოიდების ბიოლოგიური აქტივობის დადგენის შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში. თუმცა, ინტერესი ფლავონოიდებზე დღემდე გრძელდება. დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ფენოლური ნაერთების ბიოლოგიური მოქმედების საფუძველი დევს მათ ანტიოქსიდანტურ მოქმედებაში და რომ მათ შესწევთ უნარი თავისუფალ რადიკალებთან რეაგირების, რომელიც გამოიხატება ჟანგვით სტრესულ პირობებში. ცოტა ხნის წინ დადგინდა, რომ ფლავო-ნოიდებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სიგნალიზაციის პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს ცოცხალ სისტემებში ცილების სპეციფიკური მოქმედების ხარჯზე და რომლებიც ასრულებენ მარეგულირებელ ფუნქციებს. ფენოლური ნაერთების მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით (Benthsath A., 1936; Middleton E.,2000; Willcox J. K.,2004; Soobrattee M. A.,2005; Stevenson D.E., 2007; Хавинсон В. Х.,2003; Singh M.,2008).

ლიტერატურული მონაცემების თანახმად ფლავონოიდებს შესწევთ უნარი თავისუფალ რადიკალებზე რეაგირების. ეს თვისება იწვევს დიდ ინტერესს იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ფენოლური ნაერთების ანტოიქსიდანტური მოქმედების საფუძველს. როგორც წესი ფლავონოიდების მოქმედება თავისუფალ რადიკალებთან მიმდინარეობს სწრაფად და შედეგად ხდება რადიკალების ინაქტივაცია. ითვლება, რომ რადიკალებთან ურთიერთქმედებისას ფენოლური ნივთიერება შეიძლება იყოს პროტონის დონორის როლში (1) ან შეასრულოს

ელექტრონის დონორის როლი (2) (Костюк В. А.и др.,2004, Seyoum A.,2006; Kandaswami C. ssset all., 1994; Wright J. S.,2001).

$$PhOH+R^{\bullet} \longrightarrow PhO^{\bullet}+_RH \quad (1)$$

$$PhO^{-} \longrightarrow PhO^{\bullet}+e^{-} \quad (2)$$

თუ რომელი რეაქციის მიხედვით წარიმართება პროცესი, ეს დამოკიდებულია ფლავონოიდის სტრუქტურაზე, თავისუფალი რადიკალის ბუნებაზე და რეაქციის მიმდინარეობის პირობებზე. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საწყისი ფლავონოიდი ტრანსფორმირდება ერთიდაიგივე შუალედურ პროდუქტში ($PHO^{\bullet}$), რომელსაც ეწოდება ფენოქსილური რადიკალი. იგი წარმოადგენს მეტად არასტაბილურ ნაერთს, რომელიც დიდი სისწრაფით გარდაიქმნება საწყისი ფლავონოიდის სხვადასხვა წარმოებულში ან ჩაერთვება ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის ახალ ციკლში. ფენოქსილური რადიკალის რეაქციის უნარი, პროდუქტების სტრუქტურა, რომელშიაც გადავიდა საწყისი ფლავონოიდი, ასევე განისაზღვრება თვით საწყისი ფლავონოიდის ბუნებით და რეაქციის მიმდინარეობის პირობებით. ფლავონოიდების დაჟანგვის შუალედური პროდუქტები, რომლებიც თავის სტრუქტურაში შეიცავს კატეხოლის ჯგუფს და ერთ ზედმეტ ელექტრონს იწოდებიან სემიქინონებად, ხოლო რომლებიც შეიცავენ ორ ელექტრონს ეწოდებათ შესაბამისად ქინონები (Jovanovic S.V.,1994; Fiorucci S.,2007).

რადიკალების სპექტრი, რომლებთანაც შესაძლებელია იურთიერთქმედოს ფლავონოიდებმა საკმაოდ ფართოა. ფლავონოიდებს შესწევთ უნარი, როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ თავისუფალ რადიკალებთან რეაგირებისა. არაორგანულ ჯგუფს მიეკუთვნებიან აზოტის დიოქსიდის და სუპეროქსიდური ანიონის და ჰიდროქსილ რადიკალის ურთიერთქმედება. ეს ნაერთები დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ჟანგვითი მეტაბილოზმის ფერმენტების ფუნქციონირების მოშლისას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მთლიანი ორგანიზმის ცხოველქმედების ფატალური შედეგი (Kostyuk V. et all.,1989; Wilms L.C.,2008; Papa S. Et al.,1997).

დღეისათვის ფლავონოიდების სუპეროქსიდანიონ-რადიკალთა რეაქციის მექანიზმი ითვლება დადგენილად. მისი არსი (3) მდგომარეობს შემდეგში:

$$PHO^{-}+O_2^{\bullet} \longrightarrow PHO^{\bullet}+O_2^{2-} \quad (3)$$

დაგენილია, რომ სუპეროქსიდის ყველაზე ეფექტურ აღმდგენელად გამოვლინდა ფლავონოლები-რუთინი და კვერცეტინი. ამ ნივთიერებებს გააჩნიათ თავისუფალი კატეხოლის ჯგუფი B რგოლში და როგორც მეცნიერები მიუთითებენ, სუპეროქსიდ ანიონ-რადიკალთან რეაქცია მიმდინარეობს სწორედ ჰიდროქსილის ჯგუფების ხარჯზე (Jovanovic S.V.,1994).

ფლავონოიდების დაჟანგვა მიმდინარეობს როგორც მცენარეთა, ისე ცხოველთა ორგანიზმში. მცენარეთათვის ეს პროცესი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის. მაგალითად, ფლავონოიდების დაჟანგვა შეიმჩნევა თესლების სიმწიფისას. შედეგად წარმოიქმნება პოლიმერული ნაერთები სათესლე გარსის ზედაპირზე, რაც იწვევს მისი საფარის გამუქებას და მცირდება ამავდროულად წყლის შეღწევადობა. ფლავონოიდების ჟანგვითი გარდაქმნისას მოიხმარება უჯრედშიდა ჟანგბადი და წყალი, რომელიც ინახავს თესლებს დაზიანებისაგან. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია სელექციური სამუშაოების ჩატარებისას. ფლავონოიდების მაღალი შემცველობის მქონე მცენარეების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი ჯიშების მიღებას, რომლებიც განსხვავდებიან სათესლე მასალის ხანგრძლივი შენახვის პერიოდით. მცენარეებში ფლავონოიდების დაჟანგვა მიმდინარეობს არამხოლოდ ნორმალურ, არამედ სტრესული მდგომარეობის პირობებშიც. სოკოვანი და ბაქტერიული ინფექციების განვითარების პერიოდში შეიმჩნევა კვერცეტინის დაჟანგვის მაღალი დონე, შედეგად წარმოქმნება 3,4-დიჰიდროქსიბენზოინის მჟავა, რომელსაც გააჩნია ფუნგიციდური და ბაქტერიოციდული აქტივობა. მცენარეთა ქსოვილის ფიზიოლოგიური დაზიანება

იწვევს ფლავონოიდების ჟანგვითი დეგრადაციის პროცესს, რომელიც ხელს უშლის ადრეული ინფექციების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ფესვების განვითარებისას უჯრედების ზედაპირზე, რომლებიც აქტიურად ურთიერთქმედებენ გარემოსთან არსებობს ფენოლების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც იცავენ მცენარეებს პათოგენებისგან. ფლავონოიდების დამცავი თვისებები და მათი დაჟანგული წარმოებულები გამოვლინდება არამხოლოდ პათოგენების შებოჭვით, ფენოლური ნივთიერებები მონაწილეობენ ჭარბი ჟანგბადის აქტიური ფორმის უტილიზაციისას. ფენოლური ნივთიერებების განვითარების გზა და ასევე მათი ბიოლოგიური აქტივობის გამოვლენის შესაძლებლობები დღესაც აქტიური დისკუსიის საფუძველს იძლევა (Pourcel L.,2007; Egley G.H.,1985; Bailly C.,2004; Aziz N. H.,1998; Walker J. R. Et all., 1998; Rahman M. Et all.,2005; Feeny P.P.,1974; Walle T.,2004).

დღემდე მიჩნეული იყო, რომ ფლავონოიდები ზღუდავენ ჟანგვითი სტრესის განვითარებას ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების თანხლებისას. მსგავსი მექანიზმებით ისინი ზრდიან მრავალი ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნაერთების სტაბილურობას, როგორიცაა ასკორბინის მჟავა და კაროტინოიდები. დადგინდა, რომ ფლავონოიდები გამოირჩევიან ანტიალერგიული, ანტიკარცენოგენული, ანტივირუსული და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით (Clemetson C. A.et all.,1966; Korkina L.G.,2008).

ფლავონოიდები მცენარეებში ასრულებენ ეკოლოგიურ ფუნქციას-ანტირადიაციულ და ანტიბაქტერიულს. კვერცეტინი ხასიათდება ანტიმიკრობული ეფექტით, ანტივირუსული და ანტიოქსიდანტური აქტივობით, კარდიოპროტექტორული და ანტიპლატელიცური მოქმედებით (Stavric B.,1994; Vrijsen R.et al.,1998; Бежуашвили М.Г. и др.2005; Conquer Y.A. et al.,1998; Takahama U., 1985; Pace-Asciak C. R.et all.,1995).

წითელ ღვინოებს გააჩნიათ უფრო მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა, ვიდრე თეთრ ღვინოს, რაც განპირობებულია ფენოლურ ნაერთთა თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობის განსხვავებით. ერთ-ერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამხრეთ-აფრიკული ღვინოებიდან გამოირჩევა „პინოტაჟის“ ღვინო, რომელსაც გააჩნია უნიკალური ფენოლური პროფილი და აქედან გამომდინარე,

ხასიათდება ოპტიმალური ანტიოქსიდანტური აქტივობით და ამავდროულად, ინარჩუნებს კარგ ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს (De Beer, D. et al., 2003).

შესწავლილი იქნა ჩვეულებრივ და ეკოლოგიურ ღვინოებში 7-თვიანი შენახვის პერიოდში მიმდინარე ცვლილებები. განისაზღვრა პოლიფენოლების და თავისუფალი რადიკალების შემცველობა. შენახვისას წითელ ღვინოში ყველაზე ცვლადი კომპონენტი აღმოჩნდა ანტოციანი, რადგან შენახვისას ანტოციანების შემცველობა მნიშვნელოვნად შემცირდა ჩვეულებრივ და ეკოლოგიურ ღვინოში. სხვა გამოკვლევებისაგან განსხვავებით, ფენოლური ნაერთების საერთო კონცენტრაცია ჩვეულებრივ და ეკლოგიურ წითელ და თეთრ ღვინოში არ იყო დაკავშირებული ანტიოქსიდანტურ აქტივობასთან. წითელ ღვინოში ანტიოქსიდანტური აქტივობის არავითარი მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეიმჩნეოდა ეკოლოგიურ და ჩვეულებრივ ღვინოში, მაგრამ ამავე დროს ჩვეულებრივ და ეკოლოგიურ თეთრ ღვინოში ანტიოქსიდანტური აქტივობის მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა (Zafrilla P.et al.,2003).

შეფასებული იქნა ექვსი თეთრი ღვინის და ორი წითელი ბერძნული ღვინის შესაძლებლობა დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ჟანგვის შეზღუდვაზე. ყველა წითელი ღვინო წარმოდგენილი იქნა უფრო მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით და საერთო ფენოლებით, ვიდრე თეთრი ღვინო.

შედარებული იქნა ასევე ახალგაზრდა და დაძველებული ღვინოები. ახალგაზრდა ღვინო განსხვავდება შესაბამისი კომპონენტებით დაძველებული ღვინოებისგან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჟანგვითი დაძველება კასრებში შეიძლება მოქმედებდეს ღვინის ანტიოქსიდანტურ პოტენციალზე. ყველა ეს აქტიური ღვინის ფრაქციები მდიდარია ფენოლმჟავებით და ფლავონოლებით (Alexandros D.et al.,2005).

ევროპაში და ამერიკაში წითელ, თეთრ და ვარდისფერ ღვინოებზე რიგი გამოკვლევა იქნა ჩატარებული ანტიოქსიდანტურ შესაძლებლობებზე, მაგრამ ეს პირველი კვლევაა სამხრეთ აფრიკულ ღვინოზე. თავისუფალი რადიკალების გაწმენდის პოტენციალი წითელ ღვინოებს „პინოტაჟის“ და „მერლოს“ ჰქონდა

უმაღლესი (15-15) და „კაბერნე რუბის“ დაბალი (13). ლიპიდების პეროქსიდაზის ჟანგვის ტესტში „მერლოს“ და „კაბერნე რუბის“ ჰქონდა მაქსიმალური და მინიმალური აქტივობა შესაბამისად (75-55). თეთრი ყურძნის ღვინომ „შარდონემ“ აჩვენა უმაღლესი (1,1-70) და „შენინბლანტმა“ დაბალი აქტივობა (0,8-38) თავისუფალი რადიკალების და ლიპიდების პეროქსიდაზური ჟანგვის ტესტში, ხოლო „სოვინიონ ბლანტს“ და „კოლომბარის“ ღვინოებს ჰქონდა შუალედური ანტიოქსიდანტური აქტივობა (0,9-49), (0,9-40) (102,104-107 - De Beer D. et al., 2003, 2005; Campos A.M.et al.,1996; Simonetti P.et al.,1997; Landrault N.et al.,2001).

ფლავონოიდები წარმოადგენენ ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც იმყოფებიან ხილში, ბოსტნეულში, ღვინოში, ჩაიში და სხვა პროდუქტებში. დადგენილია, რომ ფლავონოიდები იწვევენ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ოქსიდაციის დაქვეითებას და შესაბამისად თრომბისადმი მიდრეკილების შემცირებას. მეცნიერთა მიერ შესწავლილი იქნა კვერცეტინის, კემპფეროლის, მირიცეტინის, აპიგენინის და ლუთეოლინის გავლენა ადამიანთა ორგანიზმზე, კერძოდ გულის კორონარულ დაავადებათა რისკზე. ამ ცდებიდან გამომდინარე კვლევის პირებს წარმოადგენდნენ 65-84 წლის მამაკაცები, რომლებიც ყოველდღიურად ღებულობდნენ ფლავონოიდებს 259მგ-ის ოდენობით ჩაის, ხახვის და ვაშლის სახით. 693 ცდის პირიდან მიოკარდის ინფარქტი გავრცელდა 38-ში. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ფლავონოიდებით მდიდარი საკვების რეგულარული მოხმარება უფროსი ასაკის ადამიანებში ამცირებს გულის კორონარული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილის რისკს, წონის, თამბაქოს და ყავის მოხმარების, ქოლესტერინის, სისხლის წნევის და ფიზიკური დატვირთვის პირობებშიც (108 - Bertelli A. F.,1995).

ფლავონოლების, ფლავონების და ანტოციანების ბიოლოგიური აქტივობა, მათი ანტიოქსიდანტური თვისებები და დადებითი როლი დადგინდა ლიპოპროტეიდების ოქსიდაციის შემცირებით. კვერცეტინი, კემპფეროლი, მირიცეტინი, აპიგენინი და ლუთეოლინი ადამიანის ორგანიზმს იცავენ თრომბისა და ქოლესტერინისგან და მაღა-

ლი წნევის პირობებშიც კი ამცირებენ გულის დაავადებათა რისკს. დაავადებათა უმრავლესობას იწვევს ქსოვილზე ჟანგბადის ზემოქმედება. ამ შემთხვევაში ზოგიერთი ფლავონოიდი, მაგ: კვერცეტინი და სილიბინინი ეფექტურად იცავენ უჯრედებსა და ქსოვილებს ჟანგბადის მავნე ზემოქმედებისაგან. მათი ანტიოქსიდანტური თვისებები გამოიხატება თავისუფალი რადიკალებისა და სხვა შუალედური დამჟანგველების შებოჭვით. საფერავიდან დამზადებული ქართული წითელი ღვინის ანტოციანების pH-ზე დამოკიდებული ფორმების ანტიოქსიდანტური აქტივობა დადგინდა „in vitro“ ცდებში ადამიანის სისხლში მალონდიალდეჰიდის წარმოქმნის ინჰიბირების ხარისხის სახით (Бежуашвили М. Г.et al.,2005).

ავტორთა მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ კვერცეტინის და კატექინის მოხმარებით თაგვებში მცირდება ათეროსკლეროზის განვითარება, რაც ლიპოპროტეინის ჟანგვის მიმართ შემცირებული მგრძნობელობითაა განპირობებული. კვლევების შედეგად დადგინდა წითელი ღვინის ფლავონოიდების-ბუნებრივი ანტიოქსიდანტების მიერ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დაჟანგვის ინჰიბირება. ამ ცდის შედეგად დაბალი სიმკვრივის ლოპოპროტეინის დაჟანგვა 45%-ით შემცირდა. ჯამრთელ ადამიანებში, რომლებიც დღეში მოიხმარდნენ 400 მლ წითელ ღვინოს, 2 კვირის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ჟანგვის ხარისხი.

2002 წელს ჩილეში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს კვერცეტინის, მირიცეტინის და კატექინგალატის ზემოქმედება გლუკოზის ტრანსპორტირებაზე. გლუკოზის მარტივი და გაადვილებული ტრანსპორტიორებია მემბრანშიდა ცილები, რომლებიც პასუხისმგებლობენ პლაზმური მემბრანის გავლით ჰექსოზების გატარებას. ერთ-ერთ ასეთ ტრანსპორტიორს წარმოადგენს ე. წ. „GLUTU“. ამ უკანასკნელის ტრანსლოკაცია პლაზმური მემბრანის გავლით ინსულინით რეგულირდება. როდესაც ადგილი აქვს დარღვევებს-მუცლის არეში ცხიმების დაგროვებას, ამ შემთხვევაში ინსულინით განპირობებული სიგნალიზაციის მოშლა განაპირობებს „GLUTU“-ს ტრანსლოკაციისა და მასთან დაკავშირებული გლუკოზის

მეტაბოლიზმის რღვევას. ზემოთაღნიშნული ფლავონოიდების დადებითი ზემოქმედება „GLUTU“-ს ტრანსპორტულ აქტივობაზე დადგინდა მოდელური ცდებით. კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ შესწავლილი იქნა (-)-ეპიკატექინის, (+)-კატექინის და დიმერული პროციანიდინების ინჰიბიტორული ზემოქმედება NF-KB განპირობებული T უჯრედოვან აქტივობაზე. გამოვლენილი იქნა ღვინის ფლავონოიდები, როგორც პეროქსინიტრიტების შემბოჭველები. ადამიანის ორგანიზმში სამი ძირითადი სახის თავისუფალ-რადიკალური რეაქცია მიმდინარეობს: სისხლ-ძარღვებშიდა, ნაწლავშიდა და ინფრაუჯრედულ სივრცეში. ძირითადი გზა სამივე შემთხვევაში ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულია ინიციატორული პროცესები და მონაწილე ანტიოქსიდანტები. სისხლძარღვშიდა რეაქციის ინიცირება ხდება პლაზმის ONOO-ს და რადიკალის საფუძველზე. რადიკალი წარმოიქმნება დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ზედაპირზე და პროცესი კატალიზდება მეტალშემცველი (Fe,Cu) პლაზმური ცილებით. ფლავონოიდები ამ პროცესში ავლენენ მაღალ ანტიოქსიდანტობას თავისუფალი რადიკალების ოქსიდაციის სახით. ფლავონოიდების შემცველი წითელი ღვინო დაახლოებით 1 ჭიქა დღეში „in vitro” ცდებში 50%-ით ამცირებს ჟანგვით პროცესებს. საკვების მიღების პერიოდში იმატებს პლაზმის ტრიგლიცერიდები და რადიკალები. ფლავონოიდები (0,5 გ/დღეში) ნაწლავებში იწვევს ანტიოქსიდანტურ ეფექტს, რომელიც 5-10-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე C და E ვიტამინების ანტიოქსიდანტური ეფექტი. კვებით დადასტურდა, რომ წითელი ღვინო და ფლავონოიდები მნიშვნელოვნად ამცირებენ საკვების მიღების შემდგომ ჟანგვით სტრესს სისხლძარღვების შიგნით.

გამოკვლეული იქნა წითელი ღვინის ბაქტერიოციდული მოქმედება, რისთვისაც მისი ანტიმიკრობული ეფექტი შედარებული იქნა ბისმუტის სალიცილატთან. ამ ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა აეხსნათ ღვინის, როგორც საჭმლის მომნელებელი სისტემის მომწესრიგებელი საშუალების ლეგენდარული რეპუტაცია. მკვლევართა მიერ ჩრდილოეთ კალიფორნიაში დადგინდა გულის კორონარული

დაავადებების რისკის დამოკიდებულება წითელი და თეთრი ღვინოების მიმართ. ცდა ტარდებოდა ჰოსპიტალიზაციის პირობებში 934 მამაკაცსა და ქალზე. დადგინდა უპირატესად წითელი ღვინის უპირატესი დადებითი ეფექტი გულის დაავადებების მიმართ ორივე სქესის წარმომადგენლებში (Weisse M.E.et al.,1995; Klatsky A. Et al.,1997).

